

პროპორციული საარჩევნო სისტემა - საქართველოს არჩევანი დემოკრატიის
სასარგებლოდ

ფლორა ფაჩულია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ფლორა ფაჩულია, 01.07.2020

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია გარდამავალი დემოკრატიის ეტაპზე მყოფი საქართველოს გამოცდილება საარჩევნო სისტემების მიმართულებით. კვლევის იდეა ქვეყანაში მიმდინარე დებატებისა და საპროტესტო ტალღის ინსპირაციით გაჩნდა. ნაშრომი შეიძლება საინტერესო იყოს საარჩევნო სისტემებითა და ჰიბრიდული დემოკრატიის ინდექსის მატარებელი ქვეყნების კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

ნაშრომის ძირითადი მიზანი არა მხოლოდ საარჩევნო სისტემების მიმოხილვა, არამედ საქართველოსთვის საუკეთესო ვერსიის გამოვლენაა, რომელიც კონსოლიდირებული დემოკრატიის შექმნაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ტექსტში საუბარია პროპორციული საარჩევნო სისტემის ხელშესახებ სარგებლიანობებზე, რომელიც ქვეყანაში ერთპარტიულობასა და ორპოლუსიანობას მრავალპარტიულობით ჩანაცვლებს.

კვლევაში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ანალიტიკური მეთოდები. კვლევა ეფუძნება ქართული კანონმდებლობის, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებისა და განცხადებების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და რეკომენდაციების ანალიზს. ძირითად ბაზისად გამოყენებულია საქართველოს კონსტიტუციით დაცული საარჩევნო უფლების მნიშვნელობა და არსი. ანალიტიკური მეთოდი ითვალისწინებს პრობლემის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დეტალების ნათლად გამოკვეთასა და შემდგომ ანალიზს.

ნაშრომის ბოლოს აღნიშნული რეკომენდაციები, რომლებიც მოცემული პრობლემის გადაჭრის მცდელობის გეგმას წარმოადგენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დემოკრატია; გარდამავალი ქვეყნები; ჰიბრიდული რეჟიმი; საარჩევნო უფლება; საარჩევნო სისტემები; პროპორციული საარჩევნო სისტემა; “გერმანული მოდელი”; მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა; შერეული საარჩევნო სისტემა; საარჩევნო ფორმულა; პოლიტიკური დაპირება.

Abstract

The paper discusses Georgia's experience in the field of transitional democracy, in terms of electoral systems. The idea of the study was inspired by the ongoing debate in the country, and the wave of protests. The paper could be helpful to readers who are interested in surveying countries with electoral systems, and countries with a hybrid democracy index.

The main goal of the paper is not only to review the electoral systems, but also to identify the best version of the electoral system for Georgia, which will make a significant contribution to the creation of a consolidated democracy.

The text discusses the benefits of the proportional electoral system, which will replace one-party and two-party multi-party systems in the country.

The study uses comparative-legal, analytical methods, which are based on an analysis of Georgian legislation, NGO reports, international treaties, and recommendations. The main basis is the importance and essence of the right to vote protected by the Constitution of Georgia. The method involves clearly identifying and further analyzing the details needed to identify the problem.

At the end of the paper, recommendations are made for a plan to address a given problem.

Keywords: Democracy; Transition countries; Hybrid mode; The right to vote; Election systems; Proportional electoral system; "German model"; Majoritarian electoral system; Mixed election system; Election formula; Political promise.